ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ანგარიშზე: ქ. თბილისში, შატბერაშვილის ხევი №13 –ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოსაკვლევად.

ჩვენს მიერ 2015 წლის მაისის თვეში შემოწმებულ იქნა ქ. თბილისში, შატბერაშვილის ხევი № 13-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი : დადგინდეს ქ. თბილისში, შატბერაშვილის ხევი№13-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინჟინერ გეოლოგ ო. ბენიაიძის მიერ. მის მიერ არის გამოკვლეული აგრეთვე გრუნტების თვისებები.

საექსპერტოდ გადმოცემულია :

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე----- 17 გვ.
2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1. გვ.
4. გრუნტების სიმკვრივისა და სიტკიცის მაჩვენებლების სტატისტიკური დამუშავების შედეგები ---------- 11 გვ.
5. მოედნის ტოპო გეგმა ---------- 1 გვ.
6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ---------- 6 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორსართულიანი სარდაფით.

კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასული. საძირკვლის ჩარღმავება და კონსტრუქცია გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დანადგარით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 57 გ.მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასდგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გრუნტების შემდეგი ფენები:

1 ფენა ---თიხნარი, ღორღის 30%-ზე მეტი შემცველობით;
2ა ფენა-- ძლიერ გამოფიტული არგილიტები და ქვიშაქვები;
2ბ ფენა -- სუსტად გამოფიტული არგილიტები და ქვიშაქვები;

ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული ფენების დახასიათება და საანგარიშო და ნორმატიული მნიშვნელობები.

მოცემული მასალების საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას შენობის ფუძე გრუნტის შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიურ პირობების დახასიათებაში აღნიშნავს რომ გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტი წყლები არ დაფიქსირებულა.

დასკვნა :

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, შატბერაშვილის ხევი. № 13-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს და აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებს.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი : გ. ჭოხონელიძე.